

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი

ქ. თბილისი

26 ოქტომბერი, 2010 წელი

მემორანდუმი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნულ ბანკს (*ეროვნული ბანკი*), სს „კრედიტინფო საქართველოს“ და საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს (*ბანკები*) შორის ურთიერთშეთანხმებას საკრედიტო ინფორმაციის ერთიანი მონაცემთა ბაზის წარმოების შესახებ.

1. მიზანი

მემორანდუმის მიზანია ხელი შეუწყოს საკრედიტო აქტივობის ზრდას, მოქალაქეებისათვის სესხებზე ხელმისაწვდომობას და საქართველოს ფინანსური სექტორის გამჭვირვალობას.

2. მოქმედების სფერო

სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკები, სალიზინგო კომპანიები, საკრედიტო და საფინანსო ინსტიტუტები ან სხვა პირები, რომლებიც გასცემენ სესხს, საქონელს ან მომსახურებას კრედიტით სს "კრედიტინფო საქართველოს" მიაწვდიან მათ ხელთ არსებულ ერთიან ინფორმაციას იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შესახებ, რომლებიც მათ მიმართ სრულად ან არაჯეროვნად ასრულებენ თავიანთი ფინანსურ ვალდებულებებს და ვის მიმართაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები და საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის რეგულაციების ნორმები.

მიწოდებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე სს „კრედიტინფო საქართველო“ აწარმოებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ერთიან საკრედიტო ისტორიას, რომელიც ასახავს სუბიექტის მიერ როგორც სრულად, ასევე არასრულად შესრულებულ ან/და შეუსრულებელ ვალდებულებას. პოზიტიური ისტორიის შენახვის ვადად 7 წელი განისაზღვრა, ნეგატიური ისტორიის შენახვის ვადაა 5 წელი (ნაცვლად აქამდე არსებული 7 წლისა).

3. საკრედიტო ისტორიის სუბიექტი

საკრედიტო ისტორიის სუბიექტს უფლება აქვს კრედიტინფო საქართველოს ოფისში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში მიიღოს მონაცემთა ბაზაში თავიანთი სტატუსის შესახებ არსებული მონაცემის ამობეჭდილი ვერსია.

კომერციული ბანკები თანხმდებიან, რომ, როგორც წესი, საკრედიტო ისტორიის სუბიექტის შესახებ მხოლოდ „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია არ იქნება მსესხებლისათვის სესხის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში არასრული, არაზუსტი, არასწორი ან კანონის დარღვევით გადმოცემული ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში საკრედიტო ისტორიის სუბიექტს უფლება აქვს მიმართოს სს "კრედიტინფო საქართველოს" ან კრედიტინფო საქართველოს შესაბამის კლიენტს (ბანკს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, სალიზინგო კომპანიას და სხვ.), რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში გადაცემა. საკრედიტო ისტორიის სუბიექტის განცხადების საფუძველზე სს "კრედიტინფო საქართველო" ან/და შესაბამისი კლიენტი ვალდებული არიან გადაამოწმონ ინფორმაცია და მიიღონ სს "კრედიტინფო საქართველოს" პროცედურებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები საკრედიტო ისტორიის სუბიექტის უფლებების დაცვისა და მონაცემთა ბაზაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით.

4. ვადები

მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

	საქართველოს ეროვნული ბანკი	
	კრედიტინფო საქართველო	
	საქართველოს ბანკების ასოციაცია	
	საქართველოს ბანკი	
	თიბისი ბანკი	
	ლიბერთი ბანკი	
	ბანკი რესპუბლიკა	
	ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო	
	ვითიბი ბანკი ჯორჯია	
	ბაზისბანკი	
	ინვესტბანკი	
	კონსტანტა	
	ბანკი ქართლ	

	პროკრედიტ ბანკი	
	კორ სტანდარტ ბანკი	
	ტაოპრევატბანკი	
	ხალიკ ბანკი საქართველო	
	ბითიეი ბანკი	
	ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი	
	კრედო	
	ქართული კრედიტი	
	ალიანს ჯგუფი	
	„ბი. აი. ჯი“	
	აგროკრედიტი	
	კრისტალი	
	ფინკა	